**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**G E O R G I A**

**THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY**

ოქმი:ო135. 13523305001

თარიღი:01/11/2023

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-10

**დ. მესტია 31.10. 2023წ**

**<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u>** მ. ჯაფარიძე, ა. რატიანი, ბ. ნაკანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. დადვანი, გ. ხვისტანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ჯაფარიძე, თ. დადეშქელიანი, ლ. პაკელიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, მ.რატიანი, ლ. ქალდანი. შ. გულედანი, შ. ცინდელიანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

**<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u>** ზ. ჩართოლანი, გ. გელოვანი, ზ. ხარძიანი, ზ. ფალიანი, ვ. ფილფანი, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, მ. კვანჭიანი, მ.გელოვანი,

**<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u>** მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი;

**<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u>** მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

**<u>სხდომის მდივანი:</u>** მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 24 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

**დღის წესრიგი:**

**1. ა (ა) ი პ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO-„შან-ლენდი“ს მიერ 2022-2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ**

---

/მომხსენებელი: ლ. ხორგუანი; თანამომხსენებელი ბ.ნაკანი./

**2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 2022-2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ**

---

/მომხსენებელი: ჯ. რატიანი; თანამომხსენებელი ბ. ნაკანი./
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

**მომხრე----------24**

**წინააღმდეგი------**
**თავი შეიკავა-------**
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

**საკრებულომ დაადგინა:** მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის **31 ოქტომბრის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

**განკარგულება მიღებულ იქნა**

**(განკარგულება** № g-135. 135232721 **თან ერთვის)**

**მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. ხორგუანმა ,,ა (ა) ი პ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO- „შან-ლენდი“ს მიერ 2022-2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.**

მომხსენებელმა ისაუბრა ა(ა) ი პ-ის ფუნქციებზე, დებულებით დაკისრებულ მოვალეობებზე, ჩატარებულ აქტივობებზე. ორგანიზაცია ფინანსდება მესტიის მუნიციპალტეტის ბიუჯეტიდან. ორგანიზაცია ხელსუწყობს სვანეთში ტურიზმის სექტორის განვითარებას და ახალი შესაძლებლობების შექმნას. DMO - შანლენდმა ჩაატარა აქტიური სამუშაოები კერძო სექტორტან თანამშრომლობის მიმართულებით, რის შედეგადაც არაერთმა ტურისტულმა ობიექტმა გამოთქვა DMO - ში გაწევრიანების სურვილი, საერთო ჯამში დღევანდელი მდგომარეობით DMO – „შანლენდ“-ის წევრი გახლავთ 17 ტურისტული ობიექტი. ისაუბრა სამოქმედო გეგმებზე. DMO – „შანლენდი“ აქტიურად იყო ჩართული “სვანეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის” შექმნაში, რომელიც ევროკავშირის, შვედეთის და ავსტრიის მხარდაჭერით, პროექტ GRETA-ს ფარგლებში შეიქმნა და წარმოადგენს ყოვლისმომცველ სარეკომენდაციო დოკუმენტს.

**აზრი გამოთქვა: გ. დადვანმა; რ. გვარმიანმა. -- აღნიშნეს, რომ სვანეთი ოთხივე სეზონზე საინტერესო კურორტია**, ზამთრის სეზონი პრობლემატურია, ორივე სათხილამურო ტრასას ესაჭიროება სატკეპნი მანქანა. ამ მიმართულებით თუ რამე ღონისძიების გატარება შეუძლია ა(ა)იპ-ის.
**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.**
**მომხრე ----------24**
**წინააღმდეგი -----**
**თავი შეიკავა ----**

**კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,ა (ა) ი პ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO- „შან-ლენდი“ს მიერ 2022-2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.**

**მიღებული იქნა განკარგულება:**

**(განკარგულება №** g-135. 135233042 **თან ერთვის)**

**მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ჯ. რატიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 2022-2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ".**

მომხსენებელმა ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, სამხედრო აღრიცხვის სახეებზე ა) წვევამდელის (პირველადი) სამხედრო აღრიცხვა; ბ) რეზერვისტის სამხედრო აღრიცხვა; გ) სპეციალური სამხედრო აღრიცხვა. ისაუბრა მოქალაქეთა ვალდებულებებზე სამხედრო აღრიცხვასთან დაკავშირებით. გააცნო სამსახურის პრობლემები, მთავარ პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტის უქონლობა.
**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.**

**აზრი გამოთქვა: შ. ცინდელიანმა---ანგარიშის ფორმა არ ააქვს წარმოდგენილ მომართვას, რის გამოცგაურკვეველია სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა. ითხოვა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით წარმოადგინოს მონაცემები.**

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.**

**მომხრე ----------24**

**წინააღმდეგი -----**

**თავი შეიკავა ----**

**კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 2022-2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ**

**მიღებული იქნა განკარგულება:**
**(განკარგულება №** :g-135. 135233043 **თან ერთვის)**

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი